



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბრანჯები

ბრანჯები, ასე იწოდება „ნინოს ცხოვრებაში“ საფრანგეთის ძვ. მოსახლეობა-გალები და მცირე აზიაში მოსახლე მათი თანატომელი – გალატიელები.

„ნინოს ცხოვრებაში“ არსებული ცნობით, წმ. ნინოს მამამ ზაბილონმა მონათლა პიტაღანის ველზე (იგივე კატალაუნის ველი, ჩრდ.-აღმ. საფრანგეთში) მცხოვრები ბ., ხოლო ქართლის სამეფო კარის მიერ ქრისტიანობის აღიარების შემდეგ, ქართლის ეკლესიის „დასამყარებლად“ რომის იმპერიიდან გამოგზავნეს ბრანჯი (გალატიელი) მთავარდიაკონი. „ნინოს ცხოვრებაში“ არსებული ცნობები ბ-ის – გალების შესახებ მნიშვნელოვანია საფრანგეთის ძვ. ისტორიისათვის.

ლიტ.: გოილაძე ვ., ბრანჯთა ამბავი წმინდა ნინოს „ცხოვრებაში“, «მნათობი», 1986, № 9; მისივე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991.

ვ. გოილაძე
